# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია
...გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ... ქვემოთ.

ხელის-მოწერა
...იღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ... ჭილაძის (ჭელაძის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...თვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак... „Дроэба".

„დროების" ფასი:
...წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
...თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე ... ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებისთვის ... სტრიქონზე 8 კაპ.
თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

პეტრე-პავლეს დღესასწაულის გამო, ხვალ, ოთხშაბათს გაზეთი არ გამოვა.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-მხრის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 26 ივნისს. დენ. სკობელევი მარჯვენა ფეხის მარღვების ავათმყოფობით იყო დიდი ხანია ავათ. ეს ავათმყოფობა ცხენზე ჯდომით გაუჩნდა. დილის 4 საათზე ეს ძარღვი გასქდა და ექიმებმა ვერას გზით ვერ შეაჩერეს სისხლის დენა. ...ერი შეუვიდა სისხლის ძარღვებში და თითქმის უეცრად მოკვდა.

„გოლოსში" იწერებიან, რომ მწარმოებელთა კრება მოსკოვში 11 ივლისს გაიხსნებაო.

სავლეხო ბანკის დროებით გამგეობლად დაინიშნა კარტავცევი.

პეტერბურღი, 27 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია: კახანოვის კამისია შეუდგა მოგროვილ მასალების განხილვას. ამ საქმეს კამისიამ უკანასკნელ ორის თვის განმავლობაში 26 სხდომა მოანდომა. შემოდგომაზე გადაწყვეტილება კამისიისა შინაგან საქმეთა მინისტრის საშუალებით სახელმწიფო რჩევაში იქნება წარდგენილი დასამტკიცებლად. ამის გამო ყველა ხმები და გაზეთებში დაბეჭდილი ამბები იმ ცვლილების შესახებ, რომელიც კახანოვის კამისიამ უნდა მოახდინოს ადმინისტრაციის წესდებულებაში, ტყუილია და უსაფუძვლო ხმებია

იკნაში მომხდარი უწესოება ერთობ გაზვიადეს გაზეთებმა: მხოლოდ ორი დუქანი აიკლეს ებრაელებისა. ამ უწესოებაში რამდენიმე კაცი ერია, რომელთაგან მომეტებული ნაწილი დატუსაღებულია.

მოსკოვი, 27 ივნისს. გუშინ საღამოს 8 საათზე გამოასვენეს დენ. სკობელევის გვამი; მთელს გზაზე ყველა ქუჩებში უანგარიშო ხალხი იდგა; ამ სიკვდილმა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვში.

## დღიური

მოსკოვის გაზეთებში იწერებიან, რომ ყოველ-გვარი მომზადება ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევისათვის გათავებული არისო და ახლა მხოლოდ დღის დანიშვნას მოელიანო.

მაგრამ ზოგიერთები ამბობენო, რომ წელს არ იქნება გვირგვინის-კურთხევა და როდის იქნება, ჯერ გარდაწყვეტილი არ არისო.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწის თ. ანტონ ნაკაშიძის მოკვლის თაობაზედ საქმის გამოსაძიებლად ქუთაისის ოლქის სასამართლოს გამომძიებელი ბ. ვ. ნ. აბულაძე გაუგზავნიათ ოზურგეთში, რომელიც უკვე შესდგომია თავის საქმეს.

ეს ისეთი მძიმე საქმეა, იმდენ სხვა საქმეებთან და დამოკიდებულებასთან გადახლართულ-გადაბმული, რომ ბ. აბულაძე ჭეშმარიტად ბარაქალას თქმის ღირსი იქნება, თუ იმან მოახერხა ყველა ქახრაკების გამოაშკარავება და საქმის რიგიანს საფუძველზედ დაყენება.

* * *

„ბათუმის ფურცლის" უკანასკნელს ნომერში მოყვანილია ერთი მაგალითი იმის დასამტკიცებლად—თუ ზოგიერთი გაიძვერა პირები როგორ იძენენ ჩვენში ქონებას და რა ოინებს ხმარობენ, რომ თითქმის მუქთად ძვირფასი ადგილები ჩაიგდონ ხელში.

ერთს ვიღაც მირზოევს კანტრაქტი შეუკრავს ბათუმის ქალაქ-მთავართან (?), რომ საქალაქო ადგილი (საუკეთესო ადგილი შუა-გულ ქალაქში) მიეცეს იმას იმ პირობით, რომ 1881 წლის 1 იანვრისათვის აეშენოს ორსართულიანი სახლი, რომლის ზემოსართულში კლუბი იქნება გამართულიო და რომლისთვისაც მირზოევს 20 წლის განმავლობაში ქირა არ უნდა გამოერთვა ქალაქისთვის და შემდეგ კი სახლი და მიწა მირზოევს უნდა დარჩენოდა საკუთრებად. ეს პირობა ქალაქის წარმომადგენლებს არ დაუმტკიცებიათ, წინააღმდეგი ყოფილა მთავარ-სამართველოც. მაგრამ, რადგან მირზოევმა დანიშნულ ვადამდინ სახლები ვერ ააშენა და მაშასადამე უკანონოდ შედგენილი პირობა ვერ შეასრულა, ამის გამო ქალაქს იმედი ჰქონდა, რომ ეს ძვირფასი ადგილი არ დაეკარგებოდა.

მაგრამ ამ დროს საიდგამღაც იყო გამოჩენილა ბ. თაიროვი, რომელსაც უთქვამს, მამული ჩემია, სახლის აშენება უნდა დავიწყოვო! მართლაც, აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელ სამი ათას თუმნად ღირებული საქალაქო ადგილი ბ. მირზოევს რაღაც მანქანებით მიუყიდნია მეორე სომხის ბ. თაიროვისათვის, რომელსაც საიდგამღაც დოკუმენტებიც უშოვნია და ამ ნაირად ეს მამული წაურთმევია ქალაქისათვის. ამ ადგილზე ბ. თაიროვი ახლა მშვენიერ, უზარმაზარ სახლს აშენებს, რომლიდამაც ათას თუმანზე მეტი ექნება წელიწადში შემოსავალიო!

* * *

„ქავკაზში" დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ ტფილისის პირუტყვის დამცველ საზოგადოებას მოსკოვის გამოფენაში მიუღია ოქროს მედალი.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ იმ ორმოცდა-ათ თუმნიდამ, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოების" წლევანდელმა კრებამ გადაწყვიტა სასოფლო სკოლების დასახმარებლად სასწავლო მასალების დასარიგებლად, ამ საზოგადოების კომიტეტი წელს 350 მანეთის სახელმძღვანელოებსა და სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთებს გზავნის მხოლოთ ქუთ. გუბ. სასოფლო სკოლებში; დანარჩენის თხუთმეტის თუმნით ხსენებულმა კომიტეტმა (გამგეობამ)

## „დროების" ფელეტონი, 29 ივნისი.

* * *

(მურიდამ)

როს შენ სტირი, იტანჯები,
და გულს გიხოკს კაეშანი,
გულის სწორო, მეც ვწუხდები,
მიმრავლდება ვაებანი.

მაგრამ როცა ეშხით სტირი,
ნეტარების ცრემლი გცვივა,
შენ ეს, ტურფავ, მეტად გშვენის
და მეც გული აღარ მტკივა.

ი. ბაქრაძე.

## პედაგოგიის ისტორიიდან

(დასასრული *)

ინგლისის სკოლებიც XVII საუკუნემდის ვერ სჭარბობდნენ სწავლა-განათლებითა სხვა ევროპიის სკოლებსა. ამ სკოლებშიაც ძველ დროის უგუნური წესდებულება იყო. აი როგორ ხატავს გამოჩენილი პედაგოგი კარლ შმიდტი სწავლა-აღზრდის მდგომარეობას ამ-დროინდელს ინგლისის სკოლებსა:

„ყველაფერში სჩანდა პირუტყვილი წრთვნა მოსწავლე ყმაწვილებისა (дрессировка). გონებითი გავარჯიშება არამც თუ ამტკიცებდა და აძლიერებდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთის დამოკიდებულებას, არამედ აქრობდა მასწავლებლის განმაცხოველებელ გავლენას შაგირდებზე".

ეგეთივე ბედ-იღბალი ჰქონდა სწავლა-განათლებას არა მხოლოდ სკოლებში, არამედ საზოგადოებაშიაც: იგეთივე წრთვნა მოსწავლეთა გონებისა ფრანგების მღვდელ-მონაზვნებითა (იეზუიტებით) და გამდლებითა, ბონნებითა და გუვერნიორებითა; იგეთივე ყოველ პედაგოგიურ მოთხოვნილებათა წინააღმდეგი გადაცემა სასწავლებლის საგნებისა, იგეთივე უყურადღებობა რეალურის საგნებისა, როგორიც იყო იმ დროს დანარჩენს ევროპაში.

რუსეთი ამ დროს ყველაზე უკან იდგა სწავლა-განათლების საქმის შესახებ. აქ გუვერნიორების მოვალეობას ასრულებდნენ დასავლეთ ევროპიდგან მოსულნი მეფარიტონეები, ლაქიები, მეღორეები და ეზოსმცველები. ესენი რუსეთში მიაჩნდათ სპეციალურ მცოდნეთ უცხო ენებისა და ამიტომ დიდის კმაყოფილებით იღებდნენ მასწავლებლად დიდკაცების ოჯახშიაც.

მეორეთი მიმართულება იყო იეზუიტების სკოლებშიმც, სადაც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდნენ გარეგან მხარეს მეთოდებისას და სასწავლებელ საგნების რიცხვსა.

რასაკვირველია, ამისთანა მჭლე და უამყოფო ნიადაგზე აღზრდა-განათლებას სკოლებში ხეირი არ დაემართებოდა. ამ ნაირი ცუდი მდგომარეობა გახლდათ მარტო აღზრდა-განათლებაში კი არა, არამედ ყველა გვარს მეცნიერებაში. ფილოსოფიური მეცნიერებანი გადაიქცნენ ტყულა-უბრალო და უნაყოფო სიტყვიერებად. ამაზე ჩიოდა ერთი გამოჩენილი სწავლულთაგანი თავის დროისა და უჩვენა თავის თხზულებაში ის ნაკლულევანებანი, რომლებიც მაშინდელ მეცნიერებაში იყო და თხოულობდა, რომ მომხდარიყო ცვლილება. ეს კაცი იყო ბეკონ ვერულამელი.

ამ ნაირმა უკუღმართმა ხელოვნებამ აღზრდა-სწავლაში, ამნაირმა ყმაწვილ ბუნების დამახინჯებამ საუკეთესო სწავლულები XVII საუკუნისა იმ აზრზე დააყენა, რომ აღზრდა და სწავლა სულ უნდა შეიცვალოს და დაადგეს ჭეშმარიტს გზაზედ. ცდილობდნენ, რომ აღზრდისთვის დაედევათ ბუნებითი მიმართულება. წინააღმდეგ პირუტყვის მსგავსად კაცის ტვინის წვრთნისა, რომელიც მომაკვდავ ფერს აძებდა არამც თუ ინგლისის სკოლებს, არამედ მთელ ევროპასას, წინააღმდეგ უხეირო ძალადობისა, რომელსაც უნდოდა გაექრო ყოველგვარი თავისუფლება და პი-

*) იხ. „დროება" № 133.

ათი სახალხო ბიბლიოთეკა უნდა გ-მართოს ქართლ-კახეთის დიდი სოფლების სკოლებთან.

* * *

ჩვენ მივიღეთ ცალკე წიგნათ გამოცემული „სამშობლო“ ვიქტორიან სარდუს ხუთ-მოქმედებანი დრამა, ფრანცუზულიდამ ქართულად თ. დ. ზ. ერისთვისაგან გადმოკეთებული. ლამაზად, შნოიანად არის გამოცემული, კარგს ქაღალდზე და კარგის ტამბითაც. ამისთანა გამოცემისათვის სამი აბაზი დიდი ფასი არ არის.

* * *

გაზ „შრომაში“ იწერებიან:

„მთავარ-მმართველი გენერალ-ადიუტანტი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი მობრძანდება ჩვენს ქალაქში ოთხ იმ თვეს, მეორე დღეს მთელი დღე აქ დარჩება. მესამე დღეს ოზურგეთში, მეოთხე დღეს ზუგდიდში და სენაკში და რვა ივლისს საღამოს ისევ ქუთაისში დაბრუნდება, ცხრას აქ დარჩება და ათს კი გელათში და ტყიბულს და თერთმეტს წაბრძანდება“.

* * *

გაზეთის „შრომის“ სიტყვით შაბათს (19 ივნისს) ყოფილა ქუთაისის საქალაქო ხმოსანთა სხდომა და ამ სხდომაში სხვათა შორის იყო განხილული ქალაქის გამგეობის მოხსენება, თუ რა და რა საზოგადო საჭიროების დაკმაყოფილებაზედ უნდა ვთხოვოთ შუამდგომლობა მთავარ-მმართველს, გენერალ-ადიუტანტს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს, როდესაც ის მობრძანდება აქაურობის დასახედავად და აქაურის საზოგადოების საჭიროების შესატყობლად. ქალაქის რჩევამ გარდაწყვიტა, რომ მოახსენონ მის ბრწყინვალებას სიტყვიერად და წერილით შემდეგი:

1) რომ ტყიბულის რკინის გზა ქუთაისისას შეუერთდეს და დაჩქარდეს იმის გაკეთება;

2) მიეცეს ნება პრიკაზს, რომ მას შეეძლოს ქუთაისის მამულების გირაოს ქვეშ სესხის გაცემა;

3) გარდმოეცეს ქუთაისის თვითმმართველობას ზოგიერთი მისი საკუთარი ადგილები, რომელიც ჯერ მისთვის არ გადმოუციათ და აგრეთვე მიეცეს მას საკუთრებად ზოგიერთი სახელმწიფო ადგილები, რომელიც ქალაქისათვის მეტად საჭიროა;

4) განთავისუფლებულ იქმნეს ქალაქი იმ ძველი ვალისაგან, რომელიც არის 6,000 მანეთამდი, და რომელიც გარდმოეცა ქალაქს პოლიციისაგან;

5) დაუბრუნდეს ხაზინიდგან ის ფულები, რომელიც ხაზინამ ქალაქს დაუჭირა უკანონოდ ამ რამდენისამე წლის წინათ;

6) მიიღოს მთავრობამ თავის ხარჯზე პოლიციის დესიატნიკების ჯამაგირი;

7) დროზედ დამტკიცებულ იქმნეს ქუთაისის ქალაქის საზღვარი, და შემდგომ ამისა იქმნეს დამტკიცებული ამ ქალაქის პლანიც;

8) მიეცეს ნება ქალაქს, რომ აქ მესამე აფთიაკი გაიხსნას;

9) ქუთაისის საქალაქო ექიმი, რომელსაც ჯამაგირი საქალაქო შემოსავლიდგან ეძლევა, აქაურის თვითმმართველობის სრულს განკარგულების ქვეშ იქმნეს ისე, როგორც არის საქალაქო არხიტექტორი;

10) ტფილისის ქუჩა და მისი გაყოლება ქუჩები უწინდელს ოპერის ზასტავამდე სახელმწიფო გზების უწყებაში შევიდეს და შეკეთებულ იქმნეს სახელმწიფო, ანუ გუბერნიის საზოგადო შემოსავლით;

11) ნუ იქმნება შემცირებული ქუთაისში აქამომდე მყოფის ჯარის რიცხვი,

და 12) გაიხსნას ქუთაისში ერთი რეალური სასწავლებელი, რადგანაც არც ერთი ამ გვარი სასწავლებელი აქ არ არის, და რადგანაც ის გავსებულია შაგირდებითა გიმნაზია და პროგიმნაზია, რომ თითქმის ადგილი აღარ არის, რომ აქაურებმა იქ თავიანთი შვილები მიაბარონ.

---

როვნება მოსწავლეში; წინააღმდეგ ყმაწვილის ბუნების ძალ-დატანებისა; წინააღმდეგ უსულო და მეხანიკურ სწავლისა,—დაიბადა რეაქცია, სულ სხვა მიმართულება, რომლის მიზანი იყო აღედგინა და მოეფინა თავისუფლების სუნთქვა, უფრო ბუნებითი მიდრეკილება ყმაწვილის აღზრდის საქმეში. ეს რეაქცია, თავის წარმომადგენლებით, ცდილობდა რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაეგლიჯა ის მძიმე და მაგარი ბორკილები, რომლებიც მაშინ ჰქონდა მოჭერილი ახალგაზდა კაცების სწავლა-განათლებას. ზოგიერთი სკოლები მაგ. იანსენებისა და ზოგიერთი წარმომადგენლები ცვლილებისა აღზრდა-სწავლაში, რომელსაც ეკუთვნოდნენ გვარიანი გამოჩენილი პედაგოგები თავის დროისა: კომენსკი, მონტენი, ბეკონი, შაფცრონი, ა. ვარეტი, ნიკოლი და ეგრეთვე ლოკკი და სხ. სიტყვით და საქმით, ე. ი. თხზულებით და პრაქტიკულის გზით, ცდილობდნენ მოეყვანათ სისრულეში აზრი ახლად-დაბადებულის რეალურ მოძრაობისა პედაგოგიაში. კომენსკიმ მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება იმ პედაგოგიურ უსჭიროესობას, რომელიც თხოულობს, რომ აღზრდა-სწავლა უნდა იყოს შეფარდებული განსაკუთრებითს მოთხოვნილებას ყმაწვილის ბუნებისას; ვარეტმა ჩამოაგდო ლაპარაკი სინორჩიდამვე ყმაწვილების აღზრდაზე; ნიკოლმა მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება იმ დამოკიდებულებას, რომელიც უნდა სუფევდეს გონებით და ზნეობით აღზრდაში. გამოჩენილი ფილოსოფოსი-პედაგოგი ლოკკიც თავის თხზულებაში „აღზრდაზე“ მისდევდა დროს მოთხოვნილებას და ცდილობდა, რომ გამოეხსნა აღზრდა იმ უძრავ და მძიმე ბორკილებიდგან, რომლებიც იმას (აღზრდას) გარეშემო ერტყა. უფრო ცხადათ და ნათლათ რეალური მიმართულება პედაგოგიაში გამოიხატა ჯონ ლუკკის წყალობით.

ქრისტეფორე.

---

# [ქუთაისის] თავად-აზნაურთა საად[გილ]-მამულო ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგე[ობა] საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალ[ით] 27 ივლისს მიმდინარის 1882 წლისა, დილის თორმეტს საათზე, ქ. ქუთ[აისში] ბანკის სამმართველოში (ქარვან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების სახლები) სა[ჯარო] გადო-ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებ[ულ]ი უძრავნი მამულნი ქვემო-აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდების[ამებრ] ბანკის სახვედრო გადასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონე[ნი] იმავე წესდების მე 19 §-ის თანხმად, შეავსებენ ბანკის სახვედრო გარდა[სა]ხადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავის ვალიდამ ზედ-დამატ[ებით] სხვა და სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნუ[ლი] ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის ვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოს[პობა] შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან ხელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზედ გადასახადი სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურის, მათ შეუძლია[თ] გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის [გამგე]მართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძ[ვე]ლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 18 აგვისტოს ამავე წლ[ისა].

43½ წლიანნი სესხნი. ქუთაისის გუბერნიის

ა. ქუთაისის მაზრისა

**დოდობერიძისა**, მარიამ სიმონის ასულის, კოლლეჟსკი სოვეტ[ნიკის] მეუღლისა: სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, 46⅓ დესიატ.; თავნი [ვა]ლი 7,285 მან. 11 კოპ., შესავსებელი გადასახადი 472 მან.—სულ 7,75[7] მან. 95 კოპ.

მისავე: სოფელთა-ფარცხანაყანევს, ბაშს და ინეთს სახნავ-სათესი, [...] და სათიბი, 132⅛ დესიატ.; თავნი ვალი 10,199 მან. 2 კოპ., შესავსე[ბე]ლი გადასახადი 654 მან. 95 კოპ.,—სულ 10,853 მან. 97 კაპ.

აზნაურის მერაბ გიორგის ძის **აბულაძის** მემკვიდრეთა: გუმანის აგ[არს] სახნავ-სათესი, ზვარი-დაბლარი, მაღლარი და ტყე 21 დესეტ. 1680 კვად[რ.] საჟ.; თავნი ვალი 388 მან. 62 კაპ., შესავსებელი გადასახადი 40 მან.—სულ 428 მან. 62 კაპ.

თავადის ვლასსა ბესარიონის ძის **ღირთქიფანიძის** მემკვიდრეთა: სოფელსა ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 91 დესიატ. 1390 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,421 მან. 97 კაპ., შესავსებელი გადასახადი 813 მან. 46 კაპ.—სულ 10,235 მან. 43 კაპ.

კოლლეჟსკის ასესსორის ბესარიონ ანდრიას ძის **ხელთუფლიშვილის** მემკვიდრეთა: ბანოჯის აგარს სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატ. და 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,165 მან. 61 კაპ., შესავსებელი გადასახადი 74 მან. 4 კაპ.—სულ 1,239 მან. 65 კაპ.

**ჩახუნაშვილებისა:** გლახუა ლაზარეს-ძის და ბესარიონ გლახუას ძ[მე]გლეხთა: ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 4 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავ[ნი] ვალი 194 მან. 19 კაპ., შესავსებელი გადასახადი 21 მან. 37 კაპ.—სულ 215 მ. 56 კ.

აზნაურის სიმონ ივანეს ძის **მესხის** მემკვიდრეთა: სოფელსა რიონს, [სა]მოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი [ვა]ლი 1,461 მან. 91 კაპ., შესავსებელი გადასახადი 110 მან. 52 კაპ.—სულ 1,572 მან. 43 კაპ.

**მესხისა**, სიმონ სპირიდონის-ძის, აზნაურისა, სოფელსა რიონს, ეზო, ზვარები, სახნავ-სათესი და ტყე, 25 დესიატ. თავნი ვალი 1949 მან. 2[6] კაპ., შესავსებული გადასახადი 50 მან. 83 კაპ.-სულ 2000 მან. 9 კაპ.

**აგიაშვილისა**, გიორგი თემურაზის-ძის, თავადისა. სოფელსა ტყაჩირ[ს] სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 114 დესიატ. 1,931 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 14,666 მან. 51 კაპ., შესავსებელი გადასახადი 896 მან. 7 კაპ.—სულ 15,562 მან. 58 კაპ.

**აგიაშვილებისა:** ქაიხოსრო, კონსტანტინე და სიმონ ბებეს ძეთა, თავად[ისა]თა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი და ტყე, 33 დესიატ. 1,800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,737 მან. 74 კაპ., შესავსებელი გადასახადი 143 მან. 19 კაპ.—სულ 2,880 მან. 93 კაპ.

**კიკვაძისა**, ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: სოფელსა პატრიქეთ[ს] სამოსახლო და სახნავ-სათესი, 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟ.; თავნი ვა[ლი] 684 მან. 45 კაპ., შესავსებელი გადასახადი 36 მან. 88 კაპ. სულ 721 მან. 33 კაპ.

**ღირთქიფანიძისა**, კესარია ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფელ[სა] ზეინდარს სახნავ-სათესი, 13 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,466 მან. 65 კაპ., შესავსებელი გადასახადი 101 მან. 62 კაპ.—სულ 1,568 მან. 27 კაპ.

**მხეიძისა**, ივანე დავითის ძის, აზნაურისა: სოფელსა კორეეთს სამოსახ[ლო], ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 651 კვადრ. საჟ.; თავნი ვა[ლი]

ეროვნული ბიბლიოთეკა

391 მან. 13 კაპ., შესავსებელი გადასახადი 49 მან. 19 კაპ.—სული 440 მან. 32 კაპ.

**მჭედლიძის**, სპირიდონ დავითის ძის, აზნაურისა: სოფელსა ქორეთს სამოსახლო და სახნავ-სათესი, 5 დესიატ. 567 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 195 მან. 51 კაპ., შესავსებელი გადასახადი 37 მან. 42 კაპ.—სულ 232 მან. 93 კაპ.

**გოგორიშვილისა**, მარიამ მერაბის ასულის, აზნაურისა: სოფელთ ინაშურის და ბზვანს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 9 დესიატ. 675 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 980 მან. 79 კაპ., შესავსებელი გადასახადი 69 მან. 70 კაპ.—სულ 1050 მან. 49 კაპ.

**ღორთქიფანიძისა**, მიხაილ გიორგის ძის, თავადისა: სოფელსა ამაღლებას სახნავ-სათესი, 82 დესიატ. 1,200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 7,846 მან. 70 კაპ., შესავსებელი გადასახადი 495 მან. 95 კაპ.—სულ 8,342 მან. 65 კაპ.

**ერისთვისა**, ივანე ოტიას ძის, თავადის: სოფელთა ამაღლებას, ინაშურს და უხუთს სახნავ-სათესი და ზვარები, 67 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,865 მან. 94 კაპ., შესავსებელი გადასახადი 308 მან. 61 კაპ.—სულ 7,174 მან. 55 კაპ.

**იესელიანისა**, პეტრე ნიკოლოზის ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალტუბოს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 14 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,180 მან. 62 კაპ., შესავსებელი გადასახადი 94 მან. 50 კაპ.—სულ 1,275 მან. 12 კაპ.

**მიქელაძეთა**: სოლომონ, დავით და ლომონ გიორგის ძეთა, თავადთა: სოფელსა ქულაშს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 13 დესიატ. 2,208 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,967 მან. 68 კაპ., შესავსებელი გადასახადი 87 მან. 25 კაპ.—სულ 2,054 მან. 93 კაპ.

**მიქელაძეთა**: ვალერიან და გიორგი ბეგლარის ძეთა, თავადთა: სოფელსა ქულაშს სამოსახლო და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1,104 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,624 მან. 5 კაპ., შესავსებელი გადასახადი 376 მან. 91 კაპ.—სულ 5,000 მან. 96 კაპ.

**ნიჟარაძისა**, მიხაილ რევაზის ძის, თავადის: სოფელსა ოფიშკვითს სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დესიატ.; თავნი ვალი 787 მან. 9 კაპ., შესავსებელი გადასახადი 56 მან. 15 კაპ.—სულ 843 მან. 24 კაპ.

**აგიაშვილისა**, ეგვიპტა გიორგის ასული, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი, 30 დესიატ.; თავნი ვალი 3,157 მან. 53 კაპ., შესავსებელი გადასახადი 203 მან. 75 კაპ.—სულ 3,361 მან. 28 კაპ.

**ქორქაშვილისა**, ანნა რევაზის ასულის, კოლლეჟსკის ასესორის ქვრივისა: სოფელთა მაღლაკს და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ. 89 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 690 მან. 72 კაპ., შესავსებელი გადასახადი 41 მან. 29 კაპ.—სულ 732 მან. 1 კაპ.

**ღორთქიფანიძისა**, მფროსინა ნიკოლოზის ასულის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი, 6 დესიატ. 1,584 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 592 მან., შესავსებელი გადასახადი 31 მან. 7 კაპ.—სულ 623 მან. 7 კაპ

**ერისთავისა**, ვარლამ მიხაილის ძის, თავადისა: სოფელსა ეწერს სახნავ-სათესი და ტყე, 162 დესიატ. 216 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,867 მან. 27 კაპ., შესავსებელი გადასახადი 404 მან. 45 კაპ.—სულ 10,271 მან. 72 კაპ.

**აგიაშვილისა**, მიხაილ ბეკოს ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ზვარი და სახნავ-სათესი, 15 დესიატ. 1251 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,177 მან. 1 კაპ. შესავსებელი გადასახადი 146 მან. 67 კაპ.—სულ 2,323 მან. 68 კაპ.

**მისივე**: სოფელსა ტყაჩირს სამოსახლო და სახნავ-სათესი, 114 დესიატ. 2,217 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 15,139 მან. 97 კაპ., შესავსებელი გადასახადი 908 მან. 3 კაპ.—სულ 16,048 მან.

**მიქელაძისა**, ელიზბარ მურძაყანის ძის, თავადისა: სოფელსა ქულაშს სამოსახლო, 2 დესიატ. 1,768 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 593 მან. 75 კაპ., შესავსებელი გადასახადი 36 მან. 78 კაპ.—სულ 630 მან. 53 კაპ.

**ნიჟარაძისა**, ალექსანდრა მერაბის ასულის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ 2,304 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,484 მან. 31 კაპ., შესავსებელი გადასახადი 73 მან. 38 კაპ.—სულ 1,557 მან. 69 კაპ.

**წულუკიძისა**, ქრისტინა ქაიხოსროს ასულის, თავადისა: დაბა ხონს და სოფელთა ივანდიდს, მაიდანს და ჭყვიშს სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1113 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,958 მან. 16 კაპ., შესავსებელი გადასახადი 207 მან. 89 კაპ.—სულ 4,166 მან. 5 კაპ.

**წულუკიძეებისა**: დავით და ალექსი გიორგის-ძეთა, თავადთა: სოფელსა ნამაშევს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 46 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 3,067 მან. 58 კაპ., შესავსებელი გადასახადი 217 მან. 98 კ.—სულ 3,285 მან. 56 კაპ.

**ერისთავისა**, ბაიანე სპირიდონის ასულის, აზნაურისა: სოფ. ოზჩის სამოსახლო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, $10^1/_2$ დესიატ.; თავნი ვალი 692 მან. 70 კაპ., შესავსებელი გადასახადი 35 მან. 9 კაპ.—სულ 727 მანეთი 79 კაპ.

**არსენიშვილისა**, მიხაილ ოქროპირის-ძის, პრიჩეტნიკისა: სოფელსა დაბაძველს სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 1158 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 595 მან. 35 კაპ. შესავსებელი გადასახადი 31 მან. 8 კაპ.—სულ 626 მან. 43 კაპ.

**მაჩაბელთა**, ნესტორ და ანეპოდისტ იესეს-ძეთა, გიორგი მიხაილის-ძის, ნატალია ივანეს ასულის და მარიამ სეფეს ასულის, თავადთა: სოფ. ინეთს სახნავ-სათესი და ტყე, 176 დესიატ. 1652 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10,915 მან. 1 კაპ., შესავსებელი გადასახადი 657 მან. 97 კაპ.—სულ 11,572 მან. 98 კაპ.

**მათივე**. სოფელსა ინეთს სახნავ-სათესი და ტყე, 406 დესიატ. 192 კვადრ. საჟ; 39,393 მან. 22 კაპ., შესავსებელი გადასახადი 2,271 მან. 92 კაპ.—სულ 41,665 მან. 14 კ.

**ნებიერიძეთა**, ბ[illegible]სა, ბლახუა და მოსე ბუჭუას-ძეთა, გლეხთა: სოფელსა ოზჩის სამოსახლო და ზვარები დაბლარი და მაღლარი, 2 დესიატინი 1500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 694 მან. 60 კაპ., შესავსებელი გადასახადი 35 მან. 9 კაპ.—სულ 729 მან. 69 კაპ.

**ჩხეიძისა**, მ[illegible] ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: სოფელთა ბაშს და ფარცხანაყანევს სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 79 დესიატ. 768 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 9922 მან. 73 კაპ., შესავსებელი გადასახადი 611 მან. 65 კაპ.—სულ 10,534 მან. 38 კაპ.

**ღორთქიფანიძის**, პრისკილა ბესარიონის ასულის, თავადის: სოფელსა ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 1152 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1989 მან. 85 კაპ., შესავსებელი გადასახადი 87 მან. 25 კაპ.—სულ 2077 მან. 10 კაპ.

**მაჩაბელისა**, ანეპოდისტ იესეს-ძის, თავადისა: სოფელსა ქულაშს სამოსახლო და სახნავ-სათესი, 28 დესიატ. 1920 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9053 მან. 82 კაპ., შესავსებელი გადასახადი 372 მან. 14 კაპ.—სულ 9425 მან. 96 კაპ.

### ბ. შორაპნის მაზრისა.

**სალაძისა**, ადამ ნიკოლოზის-ძის, გლეხისა: სოფელსა დილიკაურს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 3 დესიატ. 624 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 290 მან. 54 კაპ., შესავსებელი გადასახადი 28 მან. 31 კაპ.—სულ 318 მან. 85 კაპ.

**ყიფიანისა**, აპოლონ მერაბის-ძის, აზნაურისა: სოფელსა ღვანკითს სახნავ-სათესი, $11^1/_4$ დესიატ. თავნი ვალი 2234 მან. 11 კაპ., შესავსებელი გადასახადი 178 მან. 15 კაპ. სულ—2412 მან. 26 კაპ.

**ჩხეიძისა**, მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნაურისა. ლახუნდარას ზვარი, სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,885 მან. 30 კაპ., შესავსებელი გადასახადი 242 მან. 44 კაპ.—სულ 4,127 მან. 74 კა.

**ნიკურაძისა**, ბესარიონ სიმონის-ძის, გლეხისა: სოფელსა ბილას, სახნავ-სათესი 3 დესიატ. 700 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 195 მან. 56 კაპ. შესავსებელი გადასახადი 23 მან. 51 კაპ.—სულ 219 მან. 7 კაპ.

**მაჭავარიანისა**, სპირიდონ სიმონის-ძის, გენერალ-მაიორის: სოფელსა ცხრა-წყაროს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 39 დესიატ. 122 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 5,525 მან. 67 კაპ., შესავსებელი გადასახადი 231 მან. 70 კაპ.—სულ 5,757 მან. 37 კაპ.

**ჭაჭიაშვილისა**, სინო გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფელსა არგვეთს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,844 მან. 35 კაპ., შესავსებელი გადასახადი 577 მან. 14 კაპ.—სულ 7,421 მან. 49 კაპ.

### გ. რაჭის მაზრისა.

**გორგიაშვილისა**, ივანე პაციას-ძის, გლეხისა: სოფელსა ველევს, სამოსახლო და სახნავ-სათესი, 3 დესიატ. 1400 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 196 მან. 78 კაპ. შესავსებელი გადასახადი 23 მან. 51 კაპ სულ 220 მან. 29 კაპ.

**ჯაფარიძისა**, ტარიელ მერაბის-ძის, თავადისა: სოფელსა ღარს სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, 2 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 682 მან. 24 კაპ., შესავსებელი გადასახადი 66 მან. 51 კაპ.—სულ 748 მან. 75 კაპ.

### დ. სენაკის მაზრის.

**მიქაძეთა**, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბეჟან სიმონის-ძეთა; ბიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა და ეკატერინე პეტრეს ასულის, თავადისა, სოფელსა ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 დესიატ., თავნი ვალი 14,666 მან. 51 კაპ. შესავსებელი გადასახადი 816 მან. 54 კაპ.—სულ 15,483 მან. 5 კაპ.

### ე. ზუგდიდის მაზრის.

**დადიანისა**, კონსტანტინე ლევანის-ძის, გენერალ-მაიორისა, უბრწყინვალესის თავადისა: სოფელსა ხიბულას სახნავ-სათესი და ტყე, 2050 დესიატ. 1920 კვად. საჟ.; თავნი ვალი 38,853 მან. 60 კაპ. შესავსებელი გადასახადი 1,618 მან. 21 კაპ. სულ 40,471 მან. 81 კაპ.

თავადის გიორგი ნიკოლოზის-ძის **დადიანის** მემკვიდრეთა: სოფელსა რიყის სახნავ-სათესი და ტყე, 420 დესიატ. 840 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 29,817 მან. 64 კაპ., შესავსებელი გადასახადი 2,452 მან. 74 კაპ.—სულ 32,270 მან. 38 კაპ.

**დადიანისა**, პეტრე ნიკოლოზის-ძის, თავადისა: სოფელსა რიყეს სახნავ-სათესი და ტყე, 372 დესიატ. 1350 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 26,482 მან. 84 კაპ შესავსებელი გადასახადი 1664 მან. 48 კაპ.—სულ 28,147 მან. 32 კაპ.

### ვ. ლეჩხუმის მაზრის.

თავადის ივანე ოტიას-ძის **ჩიქოვანის** მემკვიდრეთა: სოფელთა ლასურიაშს, მახაშს და უწყერს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, $48^3/_4$ დესიატ.; თავნი ვალი 4872 მან. 95 კაპ., შესავსებელი გადასახადი 344 მან. 84 კაპ.—სულ 5,217 მან. 79 კაპ.

**ჩიქოვანისა**, სისო მარუხარის-ძის, თავადისა: სოფელსა ლასურიაშა სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 15 დესიატ.; თავნი ვალი 1364 მან. 41 კაპ., შესავსებელი გადასახადი 71 მან. 80 კაპ.—სულ 1,436 მან. 21 კაპ.

**ბაკურაძისა**, ივანე დავითის-ძის, აზნაურისა: სოფელსა იბორს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 5 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 494 მან. 76 კაპ.; შესავსებელი გადასახადი 27 მან. 7 კაპ.—სულ 521 მან. 83 კაპ.

### თბილისის გუბერნიის და მისივე მაზრის.

**მაღალოვისა**, დავით იოსების-ძის, პოლკოვნიკისა: თელოვანის აგარს სახნავ-სათესი, სათოვარი და ტყე 141 დესიატინი 1720 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1984 მან. 55 კაპ. შესავსებელი გადასახადი 117 მან. 15 კაპ. სულ 2101 მან. 70 კაპ.

### ა. ქ. ქუთაისს.

### $18^{7}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

**წერეთელთა**: გიორგი და დიმიტრი მეთიმეს-ძეთა, ვარილ სიმონის-ძის და იოსებ ოქროპირის-ძის, აზნაურთა: ორი ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 2 დესიატ. 1146 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5,655 მან. 25 კაპ., შესავსებელი გადასახადი 659 მან. 53 კაპ. სულ 6314 მან. 78 კაპ.

ელისაბედ სიმონის ასულის **ჩაჩიქოვის** მემკვიდრეთა: ორი ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 3 დესიატინი 2306 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,805 მან. 93 კაპ. შესავსებელი გადასახადი 281 მან. 12 კაპ. სულ—2,087 მან. 5 კაპ.

**მათივე**: შვიდი ქვითკირის ერთ სართულიანი დუქნები და მიწა, $103^{1}/_{2}$ კვადრ. საჟენი, თავნი ვალი 2,504 მ ნ. 44 კაპ., შესავსებელი გადასახადი 353 მან 83 კაპ.—სულ 2,858 მან. 27 კაპ.

**დოდობერიძისა**, გიორგი ბესარიონის-ძის კოლლეჟსკის ასესორისა: ოთხი ქვითკირის ერთ სართულიანი მაღაზიები და მიწა, 276 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 15,401 მან. 60 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1,634 მ.ნ. 13 კაპ.—სულ 17,035 მან. 73 კაპ.

**კანდელაკისა**, ეკატერინა ანდრიას ასულის, აზნაურისა: ორი სახლი და მიწა, 192 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,484 მან. 10 კაპ., შესავსებელი გადასახადი 381 მან. 53 კაპ.—სულ 2,865 მან. 63 კაპ.

თავადის ვლასა ბესარიონის-ძის **ლორთქიფანიძის** მემკვიდრეთა: ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, 700 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,968 მან. 30 კაპ. შესავსებელი გადასახადი 722 მან. 67 კაპ —სულ 5,690 მან. 97 კაპ.

აზნაურის ბესარიონ ანდრიას-ძის **ხელთუფლიშვილის** მემკვიდრეთა: ოთხი ხის ერთ სართულიანი დუქნები და მიწა, 442 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,490 მან. 46 კაპ. შესავსებელი გადასახადი 144 მან. 71 კაპ.—სულ 1,635 მან. 17 კაპ.

**გურიელისა**, ელეონორა მიხეილის ასულის, თავადისა: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1230 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4238 მან. 4 კაპ., შესავსებელი გადასახადი 324 მან. 58 კაპ.—სულ 4,562 მ.ნ. 62 კაპ.

**მურვანოვისა**, პეტრე სიმონის-ძის, აზნაურისა: ოთხი ქვითკირის ერთ სართულიანი დუქნები და მიწა, 210 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 678 მან. 20 კაპ., შესავსებელი გადასახადი 86 მან. 25 კაპ.—სულ 764 მან. 45 კაპ.

**შხვაცაბაიასი**, სიმონ ხალილას-ძის, აზნაურისა: ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 248 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1356 მან. 18 კაპ., შესავსებელი გადასახადი 152 მან. 62 კაპ.—სულ 1,508 მან. 80 კაპ.

**ალხაზოვისა**, ივანე პაციას-ძის, მოქალაქისა: ორი სახლი ორ სართულიანი და მიწა, 335 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,540 მან. 25 კაპ. შესავსებელი გადასახადი 246 მან. 58 კაპ.—სულ 3,786 მან. 83 კაპ.

**იოსელიანისა**, კონსტანტინე იესეს-ძის, პოდპორუჩიკისა: ორ სართულიანი სახლი და მიწა, 344 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 1,062 მან. 5 კაპ., შესავსებელი გადასახადი 141 მან. 99 კაპ.—სულ 1,204 მან. 4 კაპ.

**აბაშიძისა**, სიმონ იესეს ძის, თავადისა: ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 27,089 მან. 25 კაპ., შესავსებელი გადასახადი 2,273 მან. 62 კაპ.—სულ 29,362 მან. 87 კაპ.

**ლორთქიფანიძისა**, ანტონ ნიკოლოზის-ძის, თავადისა: ხუთი ქვითკირის ერთ სართულიანი დუქნები და მიწა, 116 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,424 მ.ნ. 55 კაპ., შესავსებელი გადასახადი 413 მან. 54 კაპ.—სულ 4,838 მან. 9 კაპ.

**მისივე**: ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 190 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 13,186 მან. 5 კაპ. შესავსებელი გადასახადი 1,134 მან. 12 კაპ.—სულ 14,320 მან. 17 კაპ.

**დგებუაძისა**, ლუარსაბ ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: ორი ქვითკირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 198 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,761 მან. 10 კაპ.; შესავსებელი გადასახადი 300 მან. 21 კაპ —სულ 3,061 მან. 31 კაპ.

**კანდელაკისა**, გერასიმე ივანეს-ძის, გუბერნსკის სეკრეტარისა: ორი ქვითკირის ერთ სართულიანი სახლები და მიწა, 162 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,865 მან. 51 კაპ., შესავსებელი გადასახადი 435 მან. 29 კაპ.—სულ 4300 მან. 80 კაპ.

**კანდელაკისა**, დომენტი სიმონის-ძის, კოლლეჟსკის სეკრეტარისა: ორ სართულიანი სახლი და მიწი, 353 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 920 მან. 37 კაპ., შესავსებელი გადასახადი 139 მან. 26 კაპ.—სულ 1059 მან. კაპ.

ბიბლიოთეკა

**ლორთქიფანიძისა**, გიორგი როსტომის-ძის, თავადისა: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 369 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,761 9 კაპ., შესავსებელი გადასახადი 191 მან. 47 კაპ.—სულ 2,952 მან. კაპ.

**მარჯანოვისა**, კონსტანტინე ანდრიას-ძის, შტაბს-კაპიტანისა: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,4 მან., შესავსებელი გადასახადი 294 მან. 20 კაპ.—სულ 2,779 მან. 20

**ცქიტიშვილის**, ფილიპპე ზაალის ძის, აზნაურისა: ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 199 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 460 მან. 16 კაპ., შესავსებელი გადასახადი 48 მან. 83 კაპ.—სულ 508 მან. 99 კაპ.

**ჯავახაძისა**, პავლე გიორგას-ძის, გლეხისა: ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 136 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 374 მან. 89 კაპ., შესავსებელი გადასახადი 40 მან. 47 კაპ.—სულ 415 მან. 36 კაპ.

**ჯიშკარიანისა** ტარიელ გიორგის-ძის, მოქალაქისა: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 225 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2530 მან კაპ., შესავსებელი გადასახადი 230 მან. 46 კაპ.—სულ 2,761 მან. 1

**ყურულოვისა**, სტეფანე გიორგის-ძის, II გილდიის ვაჭრისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 85 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,6 მან. 5 კაპ. შესავსებელი გადასახადი 103 მან. 30 კაპ.—სულ 1,790 35 კაპ.

**ხელთუფლიშვილისა**, თედოსია ფირანის ასულის, კოლლეჟსკის ასესორის ქვრივისა: თორმეტი ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 189 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 14,058 მან. 69 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1,120 მან. 58 კაპ —სულ 15,179 მ. 27 კ.

**ივანოვებისა**, იოსებ და თედორე გრიგორის-ძეთა, და სულიკოვ გიორგი ელიზბარის-ძის, მოქალაქეთა: ორ-სართულიანი სახლი და მიწა, კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,430 მან. 45 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1 მან. 2 კ.—სულ 1,562 მან. 47 კაპ.

**ისარლოვისა**, ივანე მელქონის-ძის, აზნაურისა: ერთი ქვითკირის ორ სართულიანი და ექვსი ქვითკირისავე ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა $160^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,536 მან. 36 კაპ., შესავსებელი გადასახადი 542 მან.—სულ 10,078 მან. 36 კ.

**ჩხეიძისა**, იოსებ მამუკას-ძის, მოქალაქისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 247 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 7,192 მან. 5 კაპ., შესავსებელი გადასახადი 381 მან. 18 კაპ.—სულ 7,573 მ. 23 კ.

**ჩხეიძის** მეუღლისა, ევგენია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 1,052 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5,7 მან. 82 კაპ., შესავსებელი გადასახადი 605 მან. 62 კაპ.—სულ 6,327 44 კაპ.

**დე-კამპო-კასოსი**, ფრანსუა ალოიზას-ძის ფრანციის ქვეშევრდომის ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 144 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,362 98 კაპ., შესავსებელი გადასახადი 247 მან. 75 კაპ.—სულ 4,610 მ. 73

**ნიკოლაევისა**, ალექსანდრე ნიკოლოზის ძის: ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა, 197 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1,357 მან. 37 კაპ. შესავსებელი გადასახადი 46 მან. 71 კაპ.—სულ 1,404 მ. 8 კ.

**სულიკოვისა**, გიორგი ელიზბარის-ძის, მოქალაქისა: ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა $66^{3}/_{4}$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,454 მან. 33 კ შესავსებელი გადასახადი 87 მან. 25 კაპ.—სულ 1,541 მან. 58 კაპ.

### 3 წლიანნი სესხნი.

**ხუბეროვისა**, ატო ფარსადანის-ძის, მოქალაქისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვადრ. საჟ.; თავნი 2,000 მ.ნ., შესავსებელი გადასახადი 158 მან. 52 კ.პ.—სულ 2,158 მ. 52 კ.

**გაბაშვილისა**, მაქსიმე გიორგის-ძის, კოლლეჟსკის ასესორისა: ერთ ნაკვეთი მიწა, 2 დესიატინა და 708 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,000 მან. შესავსებელი გადასახადი 131 მან. 92 კაპ.—სულ 2,131 მ. 92 კ.

**აგიაშვილისა**, კონსტანტინე ბებეს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ქუთაისის მაზრისა სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,000 მან., შესავსებელი გადასახადი 180 მან. 47 კ.პ.—სულ 2,180 მან. 47 კაპ.

**მაჭავარიანისა**. აგრაფენა ბეკოს ასულის, გენერალ მაიორის მეუღლისა: სოფ. ტყაჩირს ქუთაისის მაზრისა სახნავ-სათესი 20 დესიატ. 900 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,000 მან., შესავსებელი გადასახადი 371 მან. 83 კაპ.—2,371 მან. 83 კაპ.

**იოსელიანისა**, მართა ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: დაბა ხონს ქუთაისის მაზრისა ორი ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 1 დესიატ. 618 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 2,000 მან., შესავსებელი გადასახადი 177 მან. 3 კაპ.—სულ 2,177 მ. 3 კ.

**ქავთარაძისა**, ბესარიონ დავითის-ძის, კოლლეჟსკი ასესორისა: დაბა ახალ-სენაკში სენაკის მაზრის, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 263 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,000 მან., შესავსებელი გადასახადი 119 მან. 35 კაპ.—სულ 3,119 მან. 35 კაპ.

**ფულარიასი**, დათა ლევანის-ძის, აზნაურისა: ქალაქს ფოთს, ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, 43 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 2,000 მან., შესავსებელი გადასახადი 81 მან. 90 კაპ.—სულ 2081 მ. 90 კ.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюня 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხ